განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

საქართველოს უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2026

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის “ინჟინერია” დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (Bachelor of Electronic Engineering). პროგრამა მიეკუთვნება 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალურ სფეროს და შემუშავებულია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა ითვალისწინებს 180 ECTS კრედიტის ათვისებას და მოიცავს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე დარგობრივ სასწავლო კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ფუნდამენტური საინჟინრო ცოდნის, პროფესიული კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების ეტაპობრივ განვითარებას. პროგრამის სასწავლო გეგმა აერთიანებს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო საფუძვლებისა და ელექტრონული ინჟინერიის სპეციალიზებულ სასწავლო კურსებს.

პროგრამის მიზანია ელექტრონული ინჟინერიის სფეროში თანამედროვე ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ელექტრონული სისტემების ანალიზს, პროექტირებას, განვითარებასა და თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების გამოყენებას როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე სწავლის შემდგომ საფეხურზე.

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ჩარჩოსთან შესაბამისობა შეაფასა საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი არ განხორციელებულა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი მასალები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა დასკვნის პროექტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მათი შეფასების მექანიზმი, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სასწავლო კურსები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მექანიზმები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სტუდენტთა შეფასების სისტემა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ურთიერთშესაბამისობაშია და აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონისა და 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს მოთხოვნებს. ასევე დადასტურდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები, პრაქტიკული კომპონენტები და

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამა შეფასებულ კომპონენტებში აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამის განვითარებისთვის გაცემულია მხოლოდ რჩევები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო რესურსების პერიოდულ განახლებასა და თანამედროვე აქტიური სწავლების მეთოდების შემდგომ განვითარებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსი. პროგრამაში ჩართულია 15 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 5 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი) და 12 მოწვეული ლექტორი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელებასა და პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და დარგობრივი გამოცდილება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე მიუთითებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაზე, რაც გამოიხატება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, კვლევით პროექტებში მონაწილეობითა და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობით. აღნიშნული ადასტურებს პროგრამის აკადემიური გარემოს შესაბამისობას ბაკალავრიატის საფეხურის მოთხოვნებთან.

წარმოდგენილ მასალებში არ იკვეთება ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებზე, მათ შორის ადამიანური რესურსის არასაკმარისობაზე ან პროგრამის მდგრადობის პრობლემებზე. ამასთან, აკადემიური პერსონალის გადინების, სტუდენტთა პროგრესიისა და სხვა სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც ჩვეულებრივ აისახება სრული აკრედიტაციის ანგარიშებში, მოცემულ შეფასების პროცესში დეტალური ანალიზის საგანს არ წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციის მხრიდან მიღებული არგუმენტაცია არის დადებით, შესაბამისად, არაფერი შეცლილა დასკვნის პროექში და ის პირდაპირ წარმოდგენილია დასკვნის სახით.

რეკომენდაციები

-

რჩევები

- სასურველია, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უახლესი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება პერიოდულად განახლდეს, რათა პროგრამა მუდმივად ასახავდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

- სასურველია, აქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების პრაქტიკა მომავალშიც გაფართოვდეს საინჟინრო განათლების საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკები

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ნინო პატარაია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

3.საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებულია, რეალისტურია და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის სპეციფიკას. პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობას, რომლის გამომუშავებასაც პროგრამა ისახავს მიზნად და რომელიც აუცილებელია ინჟინერიის სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მოსამზადებლად. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) VI დონის მოთხოვნებთან. ისინი ორიენტირებულია ფართო თეორიული ცოდნის, საინჟინრო ანალიზის, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებელი საქმიანობის უნარების განვითარებაზე, რაც სრულად შეესაბამება ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის განსაზღვრულ დესკრიპტორებს. ამასთან, პროგრამის მიზნები ლოგიკურად უკავშირდება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მინიჭებული კვალიფიკაციის ურთიერთშესაბამისობას. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს მოთხოვნებს. ისინი ორიენტირებულია ელექტრონული სისტემების, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების ანალიზის, პროექტირების, დანერგვისა და ექსპლუატაციისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას, როგორც სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ისე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ მიმართულებებსა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან. პროგრამის ინგლისურენოვანი ფორმატი, თანამედროვე საინჟინრო მიმართულებაზე ორიენტაცია და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადების მიზანი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო და პროფესიული გარემოს მოთხოვნებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები არ შემოიფარგლება მხოლოდ დარგობრივი ცოდნის ჩამოყალიბებით და მოიცავს ისეთ ტრანსფერულ კომპეტენციებსაც, როგორიცაა გუნდური მუშაობა, პროფესიული ეთიკა, ეფექტური კომუნიკაცია, უწყვეტი პროფესიული განვითარების მზაობა და თანამედროვე

საინჟინრო ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს, ელექტრონული ინჟინერიის სფეროს დესკრიპტორს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;;
- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მატრიცა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების

დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების ეტაპობრივად მიღწევას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს და 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს დესკრიპტორს. პროგრამა მოიცავს როგორც ფუნდამენტური ცოდნის განმავითარებელ კომპონენტებს (მათემატიკა, ფიზიკა, საინჟინრო საფუძვლები), ისე სპეციალობის სასწავლო კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტრონული სისტემების, სქემების, მოწყობილობებისა და თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების სფეროში აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ცოდნისა და უნარების თანმიმდევრული განვითარების პრინციპით, რაც უზრუნველყოფს საბაზისო კომპეტენციებიდან პროფესიულ კომპეტენციებზე ლოგიკურ გადასვლას.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტები ლოგიკურად არის ურთიერთდაკავშირებული, დაცულია წინაპირობების თანმიმდევრობა და სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვან მიღწევას. წარმოდგენილი შესაბამისობის მატრიცა ადასტურებს, რომ თითოეული პროგრამის სწავლის შედეგი მხარდაჭერილია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, ხოლო სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის ფორმირებას.

პროგრამის სტრუქტურის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ დაცულია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპები, სასწავლო დატვირთვა განაწილებულია ლოგიკურად, ხოლო პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული სწავლების, პრაქტიკული კომპონენტებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ოპტიმალურ ბალანსს, რაც მნიშვნელოვანია საინჟინრო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც განსაზღვრულია როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის დესკრიპტორებით, ისე ელექტრონული ინჟინერიის სწავლის სფეროსთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ქმნის საფუძველს მისანიჭებელი კვალიფიკაციის, ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და სასწავლო კომპონენტების ლოგიკური ორგანიზება სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს, 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს დესკრიპტორს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსების და პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესაბამისობის მატრიცის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლის შედეგები და თითოეული კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების მოცულობა შეესაბამება კურსების მიზნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტები შინაარსობრივად შეესაბამება 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს მოთხოვნებს. სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ორიენტირებულია ელექტრონული ინჟინერიის სფეროსთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის, საინჟინრო ანალიზის, პრაქტიკული უნარების, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო წარმოდგენილი შესაბამისობის მატრიცა ცხადყოფს თითოეული სასწავლო კომპონენტის წვლილს პროგრამის საბოლოო შედეგების ფორმირებაში. კურსების თანმიმდევრობა, პრერეკვიზიტების სისტემა და სასწავლო დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების პროგრესულ განვითარებას, რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს.

სილაბუსების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია სწავლების, სწავლისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და იძლევა მათი მიღწევის შეფასების შესაძლებლობას. შეფასების ფორმების მრავალფეროვნება (გამოცდები, ლაბორატორიული სამუშაოები, პრაქტიკული დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და სხვა აქტივობები) უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული საინჟინრო კომპეტენციების შეფასებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები და სხვა სასწავლო მასალები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები მოიცავს როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე საინჟინრო წყაროებს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დაეუფლონ დარგის თანამედროვე მიღწევებსა და ტექნოლოგიებს.

ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასების კონტექსტში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ფორმირებას, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის დესკრიპტორებითა და 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის სწავლის სფეროს მოთხოვნებით. შესაბამისად, სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების მოცულობა და გამოყენებული სასწავლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიღწევას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების ისეთ წინაპირობებს, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მოთხოვნებს, პროგრამის შინაარსს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენას.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ხოლო მობილობითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებით მიღება რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე, დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა, რაც ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სწავლების ენასთან და უზრუნველყოფს სტუდენტის შესაძლებლობას, სრულფასოვნად დაეუფლოს პროგრამის სასწავლო კომპონენტებს და მიაღწიოს პროგრამის სწავლის შედეგებს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც კურსდამთავრებულისგან მოითხოვს პროფესიულ გარემოში დამოუკიდებელი საქმიანობისა და სპეციალიზებული ცოდნის გამოყენების უნარს.

პროგრამის შინაარსის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მინიჭებულ კვალიფიკაციას. პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო საფუძვლებისა და პროფესიული კომპონენტების თანმიმდევრულ განვითარებას, რაც შესაბამის საწყის აკადემიურ მომზადებას მოითხოვს. შესაბამისად, დაშვების პირობები უზრუნველყოფს ისეთი კონტინგენტის მიღებას, რომელსაც გააჩნია პროგრამის წარმატებით დაძლევისათვის საჭირო საწყისი ცოდნა და კომპეტენციები.

პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ასახულია როგორც პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში, ისე მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები თანხვედრაშია პროგრამის განახლებულ პროფილთან და არ ქმნის წინააღმდეგობას იმ ცოდნისა და კომპეტენციების მიღწევისათვის, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონეზე.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამის სწავლის შედეგებისა და ელექტრონული ინჟინერიის სფეროს სპეციფიკის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტებს, მათ შორის ლაბორატორიულ სამუშაოებს, პრაქტიკულ დავალებებს, საინჟინრო პროექტებსა და დამოუკიდებელ სამუშაოებას.. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნას,

რომლის თანახმადაც ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს უნდა შეეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრა.

სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ პრაქტიკული კომპონენტები ინტეგრირებულია პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში და თანმიმდევრულად ავითარებს სტუდენტების პროფესიულ კომპეტენციებს. სასწავლო აქტივობები მოიცავს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს, ელექტრონული სისტემების ანალიზსა და პროექტირებას, თანამედროვე საინჟინრო პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროსათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტებში ტრანსფერული უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, ტექნიკური ანგარიშების მომზადება და პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები ავითარებს პროფესიულ კომუნიკაციას, გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარს, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე მიუთითებს, რომ პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ კვლევით და პროექტულ საქმიანობაში შესაბამისი სასწავლო კომპონენტების ფარგლებში. აღნიშნული ხელს უწყობს კვლევითი მიდგომის, ინფორმაციის ანალიზის, თანამედროვე საინჟინრო მეთოდების გამოყენებისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებას.

ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს იმ ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის ფორმირებას, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის დესკრიპტორებითა და 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის სწავლის სფეროს მოთხოვნებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. გამოყენებული მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის

სპეციფიკას, სასწავლო კურსების შინაარსსა და პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევების ანალიზი, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები, პრეზენტაციები და დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება ელექტრონული ინჟინერიის სფეროს სპეციფიკას და ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული საინჟინრო უნარების განვითარებას.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები ლოგიკურად უკავშირდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული აქტიური სწავლების ფორმები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ ანალიტიკური აზროვნება, საინჟინრო პრობლემების გადაჭრის უნარი, თანამედროვე საინჟინრო ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია, ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები, რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს.

პროგრამის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს იმ პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგებით და შეესაბამება 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს მოთხოვნებს. გამოყენებული სწავლების მეთოდები ქმნის პირობებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დამოუკიდებელი სწავლის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებსა და 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესაბამისობის მატრიცა;
- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;;
- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მატრიცა;
- პროგრამის მიღების წინაპირობები;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მიღების წესი;

- ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სასწავლო გეგმა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უახლესი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება პერიოდულად განახლდეს, რათა პროგრამა მუდმივად ასახავდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

- სასურველია, აქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების პრაქტიკა მომავალშიც გაფართოვდეს საინჟინრო განათლების საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურებთან შესაბამისობის მატრიცისა და სხვა თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელთა მიღწევაც მოსალოდნელია პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად უკავშირდება პროგრამის სასწავლო კომპონენტებს, ხოლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივად განვითარებისა და მიღწევის შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს. ისინი მოიცავს დარგის ფართო და სისტემურ ცოდნას, ელექტრონული ინჟინერიის სფეროში არსებული მეთოდების, პრინციპებისა და ტექნოლოგიების გააზრებას, საინჟინრო პრობლემების

იდენტიფიცირების, ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების შემუშავების უნარს, აგრეთვე დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. ის შეესაბამება ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის განსაზღვრულ დესკრიპტორებს.

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი ასევე ადასტურებს მათ შესაბამისობას 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დეტალური სფეროს მოთხოვნებთან. სწავლის შედეგები ორიენტირებულია ელექტრონული სისტემებისა და მოწყობილობების ანალიზზე, პროექტირებაზე, ინტეგრირებასა და ექსპლუატაციაზე, თანამედროვე საინჟინრო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ასევე მიღებული შედეგების შეფასებასა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაზე საინჟინრო ეთიკისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსობრივ შესაბამისობას.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია გაზომვადი ფორმით და ასახავს ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის კომპონენტებს. პროგრამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესაბამისობის მატრიცა ადასტურებს, რომ თითოეული სწავლის შედეგი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებითა და შეფასების მექანიზმებით, რაც ქმნის საფუძველს მათი მიღწევის ობიექტური შეფასებისათვის.

ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს თანამედროვე საინჟინრო საქმიანობის მოთხოვნებს, მათ შორის საინფორმაციო და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, პროფესიული კომუნიკაციის უნარს, დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების მზადყოფნასა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტაციას, რაც ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებთან, 0714.1.1 – ელექტრონული ინჟინერიის დარგობრივ დესკრიპტორთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგების, სასწავლო კომპონენტებისა და შეფასების ფორმების ურთიერთკავშირს. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნების შესაბამისად და ასახავს „ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო სფეროსთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას.
პროგრამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცა, რომელიც ასახავს სასწავლო კომპონენტებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირს. ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია თითოეული

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი შეფასების მტკიცებულებები. აღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამას აქვს პროგრამის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული მიდგომა.

წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო კურსებში განსაზღვრულია კურსის სწავლის შედეგები, შეფასების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები, მათ შორის წერითი გამოცდები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, პროექტები, პრეზენტაციები და ინდივიდუალური დავალებები. აღნიშნული შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია კურსების შინაარსთან და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შეფასებას.

დოკუმენტაციიდან ასევე იკვეთება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გათვალისწინებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში და დაკავშირებულია პროგრამის პერიოდულ განვითარებასთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები,სტუდენტი, ლექტორი).

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ძირითადი კომპონენტები და პროგრამის შედეგების შეფასება დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“ იყენებს სტუდენტთა შეფასების სისტემას, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასებას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები მიმართულია როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისკენ. წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ თითოეული სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმები შეესაბამება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსს, სპეციფიკასა და დასახულ სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი შეფასების კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი, შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური მოთხოვნები. გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის წერითი გამოცდები, ტესტირება, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, პროექტები, პრეზენტაციები, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები. შეფასების ასეთი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული, ანალიტიკური და პრობლემის გადაჭრის უნარების შეფასებას, რაც სრულად შეესაბამება ინჟინერიის სფეროს სპეციფიკასა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი და ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და თანმიმდევრულობას. ამასთანავე,

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები ითვალისწინებს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სამართლიანობასა და სტუდენტის უფლებების დაცვას.

დოკუმენტაცია ასევე ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური ეთიკისა და პლაგიატის პრევენციის მექანიზმები, რომლებიც ვრცელდება სასწავლო პროცესსა და სტუდენტთა შეფასებაზე. აღნიშნული ხელს უწყობს შეფასების სანდოობასა და მიღებული შედეგების ობიექტურობას.

პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების სისტემის კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ შეფასების მეთოდები ორიენტირებულია იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის განახლებულ სწავლის შედეგებში და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებსა და საინჟინრო განათლების სფეროს კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის სფეროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესაბამისობის მატრიცა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინჟინერია“ განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებისა და პროგრამის განხორციელებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ასახულია არა მხოლოდ პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში, არამედ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციასა და კომპეტენციებშიც. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური ხარისხი, პროფესიული გამოცდილება და სამეცნიერო საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სასწავლო კომპონენტებს და უზრუნველყოფს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის მოთხოვნებით.

აკადემიური პერსონალის CV-ებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე დასტურდება მათი აქტიური სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის ბოლო წლების სამეცნიერო პუბლიკაციები, სახელმძღვანელოები, კვლევითი პროექტები და საერთაშორისო

თანამშრომლობა, ადასტურებს პროგრამის სასწავლო კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო აკადემიურ კომპეტენციას.

პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის CV-ები ადასტურებს მათ მნიშვნელოვან პროფესიულ გამოცდილებას შესაბამის დარგებში, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების, კიბერუსაფრთხოების, კომპიუტერული სისტემების, საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სხვა პროფესიული მიმართულებების სფეროში. მათი პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებზეც დაფუძნებულია პროგრამის სასწავლო გეგმა, მათ შორის მათემატიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ინჟინერიის საფუძვლებს, კომპიუტერულ მეცნიერებებს, ელექტრონიკას, პროგრამირებასა და საინჟინრო პროექტირებას. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება სწავლების სფეროს კლასიფიკატორით განსაზღვრულ საინჟინრო სფეროს მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[1]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[2]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**15**			**15**
- პროფესორი	5			5
- ასოცირებული პროფესორი	9			9
- ასისტენტ-პროფესორი	1			1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	12			—
სამეცნიერო პერსონალი				—
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინჟინერია“
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სია

[1] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[2] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან